საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

17/06/2022
N 09-02-16/361

361-09-02-16-2-202206171231

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს

ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

სადეპუტატო კითხვა

ბატონო ჯაბა,

საქართველოს მთავრობამ განაცხადა COVID-19 პანდემიის დასრულების შესახებ, ამავე დროს საქართველოს ეკონომიკის მინისტრი აცხადებდა, რომ საქართველოში ეკონომიკა ყვავის. განცხადებების პარალელურად აჭარის ა.რ მთავრობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გადაევადებინათ ვალდებულებების შესრულება იმ კომპანიებისათვის, რომლებსაც აღებული აქვთ საინვესტიციო პროექტის განხორციელების ვალდებულება. აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია:

1. აჭარის ა.რ მთავრობის, აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ასლები, საინვესტიციო პროექტების ვალდებულების შესრულების გადავადებასთან დაკავშირებით;
2. ინფორმაცია იმ კომპანიების შესახებ, რომლებსაც გადაუვადდათ ვალდებულების შესრულება, თანდართული ცხრილის მიხედვით;
3. მეორე პუნქტში აღნიშნული კომპანიებთან გაფორმებული, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მასში შეტანილი ცვლილებების დოკუმენტების ასლები;
4. ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე აღნიშნული კომპანიებისაგან შემოსული და მათზე გაგზავნილი წერილების ასლები.
5. ინფორმაცია განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობის შესახებ, რადგან თქვენ განაცხადეთ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოიზიდავდით 6 მილიარდი დოლარის ინვესტიციას. გთხოვთ ასევე განგვიმარტოთ რატომ ვერ მოხერხდა ინვესტიციების მოზიდვა

პატივისცემით,

გიორგი კირთაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები